აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 45

28/11/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ მიერ პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საარჩევნო სუბიექტის „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ თავმჯდომარის და თანათავმჯდომარის მიერ 2024 წლის 26 ნოემბერს წარმოდგენილი №160/4/2024 განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/193, თარიღი 27/11/2024) საფუძველზე, **ვადგენ:**

1. გაუუქმდეთ საარჩევნო რეგისტრაცია და მოხსნილ იქნენ საარჩევნო სუბიექტის **„კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“** მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარმოდგენილი პარტიული სიიდან №2-№22-ის ჩათვლით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე